პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთოდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

18 დეკემბერი შაბათი 1971 წელი 4 გვ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 292 (15202)

ხუთწლედი — ვადამდე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ელექტროლოკომოტივების დეპოში კარგად არის ცნობილი პირველი ჯგუფის მემანქანის გრიგოლ ნანიტაშვილის სახელი. უკვე 27 წელია მას ფოლადის მაგისტრალებზე მატარებლები დაჰყავს.

თავის მდიდარ ცოდნასა და გამოცდილებას იგი სიამოვნებით უზიარებს ახალგაზრდა მემანქანეებს. ერთ-ერთი მისი მოწაფე ჯემალ მარგველაშვილი ახლა დეპოში ოსტატის დამხმარედ მუშაობს. სულ მალე ისიც პირველი ჯგუფის მემანქანე გახდება.

სურათზე: პირველი ჯგუფის მემანქანე გ. ნანიტაშვილი (მარცხნივ) და ოსტატის დამხმარე ჯ. მარგველაშვილი.

ფოტო რ. კაპარაძისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

დამკვრელურ შრომითს ვახჯზე

შეჯიბრების მონაწილის ტრიბუნა

მომავალი წლის ანგარიშში

მუშაობის გამოცდილებას გვიზიარებს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის ხარატი

ზოთა ჯოხაძე

მცდაათი წლის წინათ მივედი თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანაში. საწარმოს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ გულთბილათ მიმიღო, გამამხნევა და მითხრა:

— მძიმე საქმეს კიდებ ხელს, მაგრამ შრომამ არ უნდა შეგაშინოს, მთავარია მუყაითობა, ხელობას მალე ისწავლი, კაცი გახდები და მერე გაგახსენებ და შენ თვითონ მიხვდები, რომ შრომა გმირობისა და სახელის საქმეა.

ახლაც მახსენდება იმ კეთილი ადამიანების სიტყვები, სულ უფრო ღრმად ვრწმუნდები, რომ ჩვენში შრომა ადამიანს აკეთილშობილებს, სახელსა და დიდებას მატებს.

მოწაფედ გამოცდილ ხარატს გიორგი ტერტეროვს მიმაბარეს, იგი ახლა პენსიონერია. გულისხმიერი ოსტატი არც ცოდნას და არც ენერგიას არ ზოგავდა იმისათვის, რომ მალე დავუფლებოდი ხარატის რთულ პროფესიას. მეც მთელი მონდომებით ვცდილობდი ხელობის შესწავლას, ექვსი თვის შემდეგ დეტალების დამოუკიდებლად გამოჩარხვა მომანდეს. პირველი ნახელავი ცუდი რიდი გამოდგა, მომიწონეს. მერე სულ უფრო რთული დეტალების დამზადება მანდეს. როცა ხელი კარგად გავიწაფე, საექსპერიმენტო საამქროში გადამიყვანეს და დღესაც იქ ვმუშაობ.

ჩვენი ქარხანა ღვინის მრეწველობისათვის მანქანა-მოწყობილობას ამზადებს. როგორც ცნობილია, ტექნიკა წინ მიდის, ჩვენი ქარხნის კოლექტივიც ცდილობს არ ჩამორჩეს, მუდამ ახლის ძიებაშია, რათა ჩვენი მანქანები მსოფლიო სტანდარტებს დონეზე, საიმედო და მაღალი წარმადობისა იყოს. ამისათვის ხშირად გვიხდება მანქანის დეტალების შეცვლა, ახლის დამზადება. ყველაფერი ეს საექსპერიმენტო საამქროში კეთდება. ახალი დეტალების დამზადებას, როგორც გამოცდილ ხარატს, ხშირად მე მავალებენ. ეს დიდი ნდობაც არის და დიდი პასუხისმგებლობაც.

ყოველი ახალი დეტალის დამზადების დროს ნორმას სპეციალისტები და ნორმადადგენენ. ამ დროში ჩაგეცვა იოლი საქმე როდია. ეს დიდ ოსტატობას და გამოცდილებას მოითხოვს. მაგრამ მუშაობის პრაქტიკიდან დავრწმუნდი, რომ ყველაფრის გაკეთება შეიძლება, ოღონდ მთავარია მონდომება, საქმის სიყვარული და პასუხისმგებლობა. ვისაც ეს აქვს, ის დავალებას, როგორიც უნდა იყოს იგი, გადაჭარბებით შეასრულებს.

ყოველი ახალი დეტალის დამუშავებისათვის განკუთვნილ დროს სანახევროდ ვამცირებ, გეგმას 150-160 პროცენტით ვასრულებ.

როცა რესპუბლიკის საწარმოებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ხუთი დღის დავალების ოთხ დღეში შესრულებისათვის, ერთხელ კიდევ გადავხედე ჩემს შესაძლებლობებს და ამ შეჯიბრებაში მეც ჩავები. ოქტომბერში გაწეული მუშაობის შედეგები შევაჯამე. იგი სახიბრულო გამოდგა. **პირადი წლიური გეგმა 25 ოქტომბრისათვის შევასრულე და მას შემდეგ პროდუქციას მოვაპალი წლის ანგარიშში ვუშვებთ.**

გამოუცდელ მუშას შეიძლება ეს წარმატება გადაჭარბებულად მოეჩვენოს, ან იფიქროს, თითქოს მუშაობაში რაღაც ხაიდუმლოება მაქვს, ჩვენს მუშაობაში რაიმე ახალი, რომელიც სხვას არ შეეძლოს, არ ეხებობს. პირადად მე სრულ წესრიგში მაქვს სამუშაო იარაღები, მუშაობაში დავნერგე შრომის მეცნიერული ორგანიზაცია. მოსამზადებელი მუშაობისათვის ძალიან ცოტა დროს ვკარგავ. ცხადია, ეს ხელს მიწყობს გადადიო პროდუქციის გამოშვება, მკვეთრად შევამცირო დეტალების დამუშავებისათვის განკუთვნილი დრო.

ახლა ჩვენს ქარხანაში ათობით არიან ადამიანები, რომლებიც ხუთი დღის დავალებას ოთხ დღეში გადაჭარბებით ასრულებენ და მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებენ.

ლენინური გეგმა შეასრულეს

თბილისი კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხნის (დირექტორი გ. შენგელია, პარტიული ორგანიზაციის მდივანი გ. ჯოჯიშვილი) კოლექტივი ახალი ხუთწლედის პირველი დღიდანვე მტკიცედ ჩადგა მოწინავე საწარმოთა მწყობრში და ყოველი თვის დავალებას ვადამდე და გადაჭარბებით ასრულებს. ამ წარმატებას საწარმო ყოველთვის იმით აღწევს, რომ აქ ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, შექმნილია მაღალნაყოფიერი შრომის პირობები. შეაჯამეს გაბვილი პერიოდის მუშაობის შედეგები და გამოირკვა, რომ ამ. შრომაში კოლექტივმა წლიური გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით 6 დეკემბრისათვის შეასრულა. გასულ წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 15 პროცენტით გაიზარდა.

ჩარხსამშენებლო და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს ოდესის საკონსტრუქტორო ბიუროს დახმარებით აითვისეს ახალი სახეობის საწმენდი დოლი, რომლის წარმადობა 50 პროცენტით მეტია მის წინამორბედზე. გამოშვებულია აგრეთვე ორი მოდელის ახალი საინერციო ცხაურები.

ქარხნის საერთო წარმატებაში ღირსეული წვლილი შეაქვთ და შრომის მისაბაძ მაგალითებს იძლევიან ამწყობი ბრიგადები, რომლებსაც რ. ლელუაშვილი, რ. სარქისოვი და ა. ბაღდაროვი ხელმძღვანელობენ. ხუთი დღის დავალებას ოთხ დღეში გადაჭარბებით ასრულებენ ხარატები მ. ბარამიძე, ე. ტიმოხინი, რ. კარამეტიანი, ს. ზახაროვი და რ. სოხაძე.

საწარმოს კოლექტივმა გადაწყვიტა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 100 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, 17 ათასი მანეთის ფართო მოხმარების საქონელი, დამატებით მოახდინოს 112 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია.

თელავმაში დეკემბრისათვის წლიური გეგმის შესრულება უპატაკა სამშობლოს ოთინისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის (დირექტორი ჯ. მახარაძე, პარტიული კომიტეტის მდივანი ა. ტატაშვილი), კოლექტივმა. მრთველებმა და მქსოველებმა წელს მომეჩინდ, ყაირათიანად იშრომეს, საგრძნობლად გაუუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი. კომბინატის კოლექტივს მაღალი მაჩვენებლების მოპოვებაში დაეხმარა სოციალისტური შეჯიბრების ახლებური ორგანიზაცია. შეჯიბრებამ ხუთი დღის დავალება ოთხ დღეში — საყოველთაო ხასიათი მიიღო. ამ პირობას გადაჭარბებით ასრულებენ მქსოველები ც. კვირიკაშვილი, ქ. კენკიშვილი, მრთველები ლ. ჯიერანაშვილი, ე. კავთიაშვილი, გ. გიგაური და სხვ.

ფეიერები მომავალი წლის ანგარიშში შრომობენ. მათ გადაწყვეტილი აქვთ წლის დარჩენილ დღეებში გეგმის გადამეტებით მოახდინონ 1 მილიონი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია, გამოუშვან 40 ტონა ბამბის ზეგეგმითი ნართი, 100 ათასი ცალი სატრიკოტაჟო ნაწარმი, გეგმის ზევით დაზოგონ 40 ტონა ბამბა, 1 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია და 230 ტონა სათბობი.

აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების უკაცრიელი ქსოვის ფაბრიკის (დირექტორი ლ. ჩიქვანაია) კოლექტივმა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად — სასაქონლო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 10 დეკემბრისათვის შეასრულა, ნატურალური პროდუქციისა — 15 დეკემბრისათვის, ხოლო პროდუქციის რეალიზაციისა — 13 დეკემბრისათვის.

ამ წარმატებებში ღირსეული წვლილი შეიტანეს მქსოველთა იმ ბრიგადებმა, რომლებსაც გ. ნიკურაძე, შ. კახნიაშვილი, ტ. კოკლამაზაშვილი, ბ. მინდიკაშვილი, რ. დაუთაშვილი, ვ. მარჭარიანი, გ. დიდებაშვილი და ე. შაიშმელაშვილი ხელმძღვანელობენ. ამ შრომითმა კოლექტივმა წლიური გეგმები ერთი თვით ადრე შეასრულეს და მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქცია გამოუშვეს.

ფაბრიკის კოლექტივმა გადაწყვიტა წლის დარჩენილ დროში გეგმის გადამეტებით გამოუშვას 158 ათასი მეტრი ქსოვილი და მოახდინოს 179 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია.

ჭიათურა ლენინის ორდენოსანი ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივმა ახალი შრომითი გამარჯვებები მოიპოვა მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცისათვის ბრძოლაში. მაღაროს კოლექტივმა წლიური გეგმა 14 დეკემბრისთვის ე. ი. 17 დღით ადრე შეასრულა. გეგმის ზევით რეალიზებულია 172.000 მანეთის პროდუქცია, თვითღირებულების შემცირების შედეგად მიღებულია 25.000 მანეთის ეკონომია, ზეგეგმითმა მოგებამ 112.700 მანეთი შეადგინა.

შრომითი შტურმი გრძელდება. ორჯონიკიძელებმა ვალდებულება იკისრეს წლის ბოლომდე სამმობოლო მისცენ 2.400 ტონა მაღალი ხარისხის მარგანეცი. ეს რეკორდული აცნობეს ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს დირექტორმა ვ. სპხარაძემ, პარტიული კომიტეტის მდივანმა პ. ფალავანდიშვილმა, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ შ. ჩაჩანიძემ, კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ნ. ხვედელიძემ.

გათუმი ქალაქის საწარმოთა შორის დაწინაურდა ქიმიური ქარხანა, რომელმაც პირველი დეკემბრისათვის პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 109,8 პროცენტით შეასრულა, რეალიზაციისა — 102,9 პროცენტით. ზეგეგმითმა მოგებამ 30 ათას მანეთს გადააჭარბა, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 7,5 ტონა ხალიბავი და 7,5 ტონა ციტრუსების სამკურნალო პრეპარატი.

მდგომარეობა ინდოსტანის ნახევარკუნძულზე

ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ დღეს სახალხო პალატაში განაცხადა, რომ პაკისტანის ჯარებმა, რომლებიც აღმოსავლეთ ბენგალიის დედაქალაქის დაკის გარნიზონს შეადგენდნენ, დაუპრეს იარაღი, ხოლო გენერალმა ნიაზიმ პაკისტანის სარდლობის სახელით ხელი მოაწერა აქტს უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ.

ჩვენი მიზნები ბანგლა დეშში, თქვა პრემიერ-მინისტრმა, შეუზღუდული იყო. გვსურდა დაეხმარებოდით ბანგლა დეშის ხალხსა და „მუქთი ბაჰინს“. ვგრძნობ, ინდოეთი თავიანთი ქვეყნის ჩაგრისაგან, აგრეთვე აღგზნებულია აგრესია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. ინდოეთის ჯარები ამიტომ არ დარჩებიან ბანგლა დეშის ტერიტორიაზე იმაზე მეტ ხანს, რაც საჭიროა.

ინდირა განდიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოეთის შეიარაღებულ ძალებს ბრძანება მიეცათ მოეპყრან დატყვევებულ პაკისტანელებს ეენევის კონვენციის პრინციპების სრული შესაბამისობით. ასეთივე ბრძანება მისცა თავის ჯარებს „მუქთი ბაჰინის“ ხარდლობამ.

მეორე განცხადებაში, რომელიც ასევე მომართულია პარლამენტის წევრებისადმი, ინდირა განდიმ აღნიშნა, რომ ზედმეტი სისხლისღვრისა და ადამიანთა მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით ინდოეთის მთავრობამ უბრძანა თავის ჯარებს დასავლეთის ფრონტზე ყველგან შეწყვიტონ ცეცხლი 17 დეკემბრის 20 საათიდან ადგილობრივი დროით (17 საათი და 30 წუთი მოსკოვის დროით) „ჩვენ, — დასძინა ი. განდიმ, — გულწრფელად ვიმედოვნებთ, რომ პაკისტანის მთავრობისაგან მივიღებთ შესაბამის და დაუყოვნებლივ პასუხს“.

დელში გამართულ მორიგ პრეს-კონფერენციაზე გამოსვლის დროს ინდოეთის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხვალიდან ბანგლა დეშის სამოქალაქო ადმინისტრაცია ხელთ იღებს საქმეებს. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ შექმნილ ვითარებაში „მუქთი ბაჰინის“ და ინდოეთის ჯარების გაერთიანებული სარდლობას ეკისრება პასუხისმგებლობა „დასავლეთ პაკისტანის სოციუპაციო ჯარების მიერ წარმოქმნილი ქაოსის ლიკვიდაციისათვის, კერძოდ, ქვეყანაში ნორმალური ვითარების აღდგენისა და ლტოლვილთა რეპატრიაციისათვის“.

დღეს პაკისტანის რადიოთი გამოვიდა პაკისტანის პრეზიდენტი გენერალი იაჰია ხანი. მან განაცხადა, რომ პაკისტანის ჯარების კაპიტულაცია დაკაში არ ნიშნავს ომის დამთავრებას ინდოეთთან. პაკისტანის ჯარები, თქვა მან, აპირებენ განაგრძონ სომარი მოქმედება „საბოლოო გამარჯვებამდე“.

ინდოეთის ოფიციალური წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, საომარი მოქმედება საზღვრის დასავლეთ სექტორში გრძელდება. პაკისტანელ ტყის რაიონიდან მიღებულია ცნობები სატანკო ბრძოლის შესახებ, რომლის მსვლელობაში პაკისტანმა დაკარგა 40, ხოლო ინდოეთმა 10 ტანკი. (საქდესი). 16 დეკემბერი.

პაკისტანის პრეზიდენტი დაეთანხმა

რავალპინდი, 17 დეკემბერი. როგორც ცნობილი ბანდა, პაკისტანის პრეზიდენტი იაჰია ხანი დღეს დაეთანხმა ინდოეთის წინადადებას დასასვლეთის ფრონტზე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

ინდოეთის მთავრობა უარყოფს

დელი, 17 დეკემბერი (საქდესი). ინდოეთის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა „სრულიად უსაფუძვლო“ უწოდა ჩინეთის მიერ ინდოეთის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებს, თითქოს ინდოეთის ჯარებმა დაზვერვის მიზნით დაარღვიეს ჩინეთის საზღვარი ტიბეტის რაიონში.

როგორც „ჰინდუსტან ტაიმსი“ წერს, დელიელი მიმომხილველნი პეკინის მიერ წამოყენებულ ბრალდებებს უკავშირებენ ახლანდელ საომარ კონფლიქტს ინდოეთსა და პაკისტანს შორის და ჩინეთის პროტესტი მიაჩნიათ როგორც „დემონსტრაციული უესტი ჩინეთის მთავრობის სოლიდარობისა პაკისტანის სამხედრო რეჟიმთან“.

ინდირა განდის წერილი ნიქსონს

დელი, 17 დეკემბერი. (საქდესი). ინდოეთის პრესის სააგენტომ გამოაქვეყნა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ინდირა განდის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ნიქსონისადმი. წერილში ნათქვამია რომ „შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა ინდოეთისა და პაკისტანის ომი, თუ მეული მსოფლიოს სახელმწიფოები, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატები, გამოიყენებდნენ თავიანთ გავლენასა და ავტორიტეტს, რათა შეემუშავებინათ ისეთი ღონისძიებანი და შეთანხმების ისეთი საფუძვლები, რომლებიც გაითვალისწინებდნენ საქმის რეალურ ვითარებას აღმოსავლეთ პაკისტანში. ასეთი ღონისძიებაა სახალხო ლიგის ლიდერის მუჯიბურ რაჰმანის განთავისუფლება“.

ინდირა განდიმ გამოთქვა აღშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ შეერთებულმა შტატებმა გაავრცელა „ინფორმაციები იმის გამო, რომ ინდოეთმა თითქოს ხელი შეუშალა მშვიდობიანი მოწესრიგების მიღწევას“.

პრემიერ-მინისტრმა მოაგონა, რომ ყოველნაირად ცდილობდა მშვიდობიანი მოწესრიგების მიღწევას. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში თავისი ვიზიტის დროს იგი ოფიციალურ და არაოფიციალურ განცხადებებში ყოველნაირად უსვამდა ხაზს, რომ საჭიროა პოლიტიკური მოწესრიგება, მაგრამ შეთანხმების ყველაზე ელემენტარულ საფუძველსაც ვერ მიაღწია, რომელიც გაითვალისწინებდა საქმის რეალურ ვითარებას.

„ინდოეთს ერთი მტკაცელი მიწაც არ სჭირდება ყოფილ აღმოსავლეთ პაკისტანში, სადაც ახლა ბანგლა დეშის სახელმწიფოა. ინდოეთს არ სჭირდება დასავლეთ პაკისტანის ტერიტორია“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ინდოეთი, საგანგებოდ აღნიშნავს ი. განდი, ესწრაფვის მტკიცე მშვიდობას პაკისტანთან.

მაღალი შეფასება

კოლომბო, 17 დეკემბერი. (საქდესი). „ყოველი მათი კონცერტი მუსიკის დღესასწაულია“, — ასე გამოეხმაურა ცეილონის პრესა საქართველოს ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „ორერას“ მსახიობთა გასტროლებს. ორ კვირაზე მეტხანს იყო, ანსამბლი ცეილონში. ამ დროის განმავლობაში მან გამართა 8 კონცერტი კოლომბოში, კანდსა და ჯაფნაში.

ცეილონი იყო აზიის ქვეყნებში საბჭოთა მსახიობების თვენახევრის მოგზაურობის უკანასკნელი პუნქტი. მანამდე ისინი გამოდიოდნენ სინგაპურსა და ნეპალში. დღეს ანსამბლი „ორერა“ სამშობლოში გაფრინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარჯიული აქჯივის კრებებზე

მოსკოვი. 17 დეკემბერი. დღეს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიხსნა მოსკოვის საქალაქო და მოსკოვის საოლქო პარტიული ორგანიზაციების აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგებს.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ი. კოლეგანსკი, ი. ს. ანდროპოვი, ჯ. ნ. დემიჩევი, დ. ს. სოლომენცევი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, რომლებსაც დამსწრენი მხურვალე ტაშით ხვდებიან. აქვე არიან სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ბ. თ. სუზოვი, სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. კონოტოპი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის საოლქო კომიტეტის ბიუროების წევრები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, მინისტრები, მხედართმთავრები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პარტიული აქტივის კრებაზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელსაც კრების მონაწილენი მეუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

კიევი. 15 დეკემბერი. აქ გაიმართა ქალაქ კიევისა და კიევის ოლქის პარტიული აქტივის კრება, რომელზეც განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგები.

მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის ნოემბრის პლენუმის შედეგების შესახებ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

ფრუნზე. 16 დეკემბერი. დღეს ფრუნზეში გაიმართა ყირგიზეთის პარტიული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები.

აქტივის კრებაზე მოხსენებით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. ს. პოლიანსკი, რომელსაც კრების მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმი

17 დეკემბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა საკითხი მოსახლეობის კომუნალური და სატრანსპორტო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის ქალაქის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ. მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა **ო. ლოლაშვილმა.**

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ — საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი **ს. მიქაძე,** ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ბ. დემეტრაძე,** საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე **რ. ლეიბაშვილი,** საქალაქო სატელეფონო ქსელის სამმართველოს უფროსი **შ. ჭედია,** კიროვის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **მ. ილაშვილი,** თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თბმეურნეობის სამმართველოს უფროსი **ვ. მუმლაძე,** „თბილისგვირაბმშენის“ მუშა, სოციალისტური შრომის გმირი **კ. ლუბავსკი,** თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავარი საარქიტექტორო-საგეგმო სამმართველოს უფროსი **შ. ყავლაშვილი,** თბილისის წყალსადენის სამმართველოს უფროსი **ო. ყანჩაველი,** თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის სამმართველოს უფროსი **პ. ნაკაიძე,** ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი **ნ. ტყემალაძე.**

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. მჟავანაძე.** (საქდესი).

სამედიცინო კადრების საჭიროება



თბილისის სამედიცინო ინსტიტუტს შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტმა თავისი არსებობის მეცხრეზე 22 ათასზე მეტი ექიმი მოამზადა. ამ უმაღლესი სასწავლებლის დიპლომიან მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს შეხვდებით საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში, აგრეთვე აზიისა და აფრიკის განვითარებად ქვეყნებში, სადაც ისინი შრომობენ ადამიანის ჯანმრთელობისათვის ბრძოლის კეთილშობილურ სარბიელზე.

მომავალ მედიკებს ასწავლიან ქართული მედიცინის საუკეთესო წარმომადგენლები. ამ უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელთა შორის არის სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 11 აკადემიკოსი და წევრ-კორესპონდენტი, 90 პროფესორი და მეცნიერებათა დოქტორი, 250-მდე მეცნიერებათა კანდიდატი.

უმაღლესი სასწავლებლის 3.700 სტუდენტიდან ნახევარზე მეტი ფრიადოსანი და სწავლის მოწინავეა. ინსტიტუტის ზოგიერთ კურსზე სწავლაში არც ერთი ჩამორჩენილი არა ჰყავთ.

ამას წინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ბრძანებულებით ჯანმრთელობის დაცვის, სამედიცინო მეცნიერების განვითარებასა და კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოდა.

17 დეკემბერს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა უმაღლესი სასწავლებლისათვის მთავრობის მაღალი ჯილდოს გადაცემას.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. მჟავანაძე,** პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ო. ლოლაშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სირაძე,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე **ო. ჩერქეზი,** საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი **ვ. ბოჭორიშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მიქელაძე,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **შ. ბუხრაშვილი,** რესპუბლიკის თვალსაჩინო მეცნიერი-მედიკები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საზეიმო კრება შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა **პ. გელბაანმა.**

ტრიბუნაზეა **ვ. მჟავანაძე.** მან წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

შეკრებილთა ტაშის გრიალში ამხ. მჟავანაძემ ორდენი მიაბნია ინსტიტუტის დროშას.

შემდეგ **ვ. მჟავანაძემ** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით გულთბილად მიულოცა უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივს დამსახურებული ჯილდო და ინსტიტუტის პროფესორებს, მასწავლებლებსა და სტუდენტებს უსურვა ახალი დიდი წარმატებანი შრომასა და სწავლაში.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტს მაღალი ჯილდო მიულოცეს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა **ა. ზურაბაშვილმა,** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ვ. კუპრაძემ,** კასპის რაიონის სოფელ ლამისყანის საექიმო უბნის გამგემ, სოციალისტური შრომის გმირმა **ე. კაკაბაძე-ლუდუშაურმა.** ინსტიტუტის კოლექტივის სახელით გამოვიდა მესამე კურსის სტუდენტი **თ. გეგენავა.**

პროფესორმა პ. გელბაიანმა მხურვალე მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას მაღალი ჯილდოსათვის. (საქდესი).

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პლენუმი

16 დეკემბერს გაიმართა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პირველი პლენუმი, რომელმაც აირჩია სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის ხელმძღვანელი ორგანონი.

გამგეობის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი მ. ვ. ზიმიანინი, გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულნი არიან ლ. მ. ზამიატინი, ს. გ. ლაპინი, ლ. ნ. ტოლკუნოვი, ი. ი. უდალცოვი და ვ. ი. ჩერნიშოვი.

გამგეობის მდივნებად არჩეულნი არიან ა. ა. აბაკიროვი, ჯ. ფ. ალექსეევი, ვ. ა. არხანგელსკი, უ. ბ. ბაგაევი, ი. ი. ბალანენკო, ზ. ი. ივლიანოვი, ვ. ვ. ეიდკოვი, ი. ი. ივერტი, ი. ვ. კაროსანი, დ. თ. კრამინოვი, მ. ს. კურტინინი, ა. მ. მამედოვი, ვ. ვ. მატვეევი, დ. ვ. მჰედლიშვილი, ი. ი. ნაზაროვი, ბ. დ. პანკინი, ვ. ნ. პეტროვი, ა. ტ. საარემიაგი, შ. ს. საიდოვი, შ. ვ. სანაკოევი, ვ. ი. სერობაბა, ა. მ. სუგობინი, ა. ვ. ხაჩიკიანი, ბ. ბ. იაკოვლევი.

იმავე დღეს გაიმართა ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა. მის თავმჯდომარედ არჩეულია ა. ვ. შუმაკოვი. (საქდესი).

მიფრინავს „კოსმოს-466“

1971 წლის 16 დეკემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-466“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს

პროგლეტარები ყველანი ერთიანდებიან

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შექმნა

თავი I.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შექმნისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები

მუხლი 1. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო ქალაქში, ქალაქის რაიონში და კანონით მიხაკებულ უფლებათა ფარგლებში წყვეტს ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და ქალაქის მშრომელთა ინტერესების შესაბამისად.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო მონაწილეობს საოლქო, რესპუბლიკური და სიერთო-საკავშირო მნიშვნელობის საკითხთა განხილვაში. რაიონული დაქვემდებარების მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო და ქალაქის რაიონული საბჭო შესაბამისად მონაწილეობენ აგრეთვე რაიონული და საერთო-საქალაქო მნიშვნელობის საკითხების განხილვაში.

მუხლი 2. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონულ საბჭოს ორი წლის ვადით ირჩევენ ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეთა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს არჩევნების მოწყობის წესს განსაზღვრავს დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში შესაბამისად აფხაზეთის ან აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ნიმუშისა.

მუხლი 3. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო ხელმძღვანელობს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე, ამტკიცებს ქალაქის, რაიონის სახალხო-სამეურნეო გეგმას და ბიუჯეტს. ხელმძღვანელობას უწევს საბჭოსადმი დაქვემდებარებული მართვის ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას საქალაქო, რაიონული დაქვემდებარების შესაბამისად. უზრუნველყოფს კანონების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვას; ხელს უწყობს მკვიდრნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა განხორციელების, ყველა სამეურნეო ორგანიზაციის მიერ კანონების და სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებათა წარმატებით შესრულების, ეკონომიისა და კულტურის შემდგომი განვითარების. ბუნებრივ სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენების, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდისათვის რეზერვების გამონახვის. მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

მუხლი 4. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონულ საბჭო კოორდინაციას უკეთებს ოა კონტროლს უწევს ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობას საბინაო, კომუნალური, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტთა მშენებლობის. სახალხო მოხმარების საქონლისა და ადგილობრივი სშინი მასალების წარმოების, კეთილმოწყობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივ კვებას, სახალხო განათლებას, ჯანმრთელობის დაცვას, კულტურასა და მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, საჭირო შემთხვევებში შეაქვს თავისი წინადადებანი შესაბამის ზემდგომ ორგანოებში. ამტკიცებს ამ საკითხებზე ნაკრებ საიგმო მაჩვენებლებს, ამასთან შეაქვს ისინი საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და ქალაქის სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმაში;

დ) უზრუნველყოფს შრომითი რესურსების, ადგილობრივი საშენი მასალებისა და სათბობის გამოყენების ბალანსების, მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და გასავლის ბალანსისა და სხვა ბალანსების შედგენას, რომლებიც საჭიროა ქალაქის მეურნეობის კომპლექსური განვითარების დაგეგმვისათვის;

ე) კონტროლს უწევს მინერალური ნედლეულის, ტყის, წყლისა და ენერგეტიკული რესურსების რაციონალურ გამოყენებას;

ვ) კონტროლს უწევს ალრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობას საქალაქო, რაიონულ დაქვემდებარების საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

ზ) ეხმარება სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოს: უზრუნველყოფს საანგარიშგებო მონაცემების შედგენისა და წარდგენის წესის შესახებ კანონმდებლობის დაცვას.

მუხლი 13. საბიუჯეტო-საფინანსო მუშაობის დარგში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო

ა) განიხილავს და ამტკიცებს ქალაქის ბიუჯეტს შემოსავლის საერთო თანხით, გამოყოფს რა ძირითად საშემოსავლო წყაროებს, და გასავლის საერთო თანხით, გამოყოფს რა ასიგნებებს საქალაქო მეურნეობის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად, ქალაქის სახელმწიფო ხელისუფლების და სახელმწიფო მართვის ორგანოების შესანახად;

ბ) ამტკიცებს საქალაქო ბიუჯეტს, მისი შემოსავლისა და გასავლის კვარტალურ განაწილებას, საკასო საბრუნავი სახსრების რაოდენობას საქალაქო ბიუჯეტის მიხედვით;

გ) ორგანიზაციას უწევს საქალაქო ბიუჯეტის შესრულებას; კონტროლს უწევს საფინანსო დისციპლინის დაცვას, საწარმოო-საფინანსო გეგმებისა და ბიუჯეტში გადასახდელების ვალდებულებათა შესრულებას, საწარმოებს, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო სახსრების მომჭირნეობით ხარჯვას;

დ) საქალაქო ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებულ შემოსავალს, აგრეთვე გასაღალზე შემოსავლის გადამეტების თანხებს, რომლებიც წარმოიშობა წლის დამლეგისათვის შემოსავლის გადაჭარბები შესრულების ან გასავლის ნაწილში მომჭირნეობის შედეგად, იხმარს ქალაქის მეურნეობისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დაფინანსებას. მათ შორის კაპიტალურ დანაბრებს, ადმინისტრაციულ ნაგებობათა მშენებლობასა და სატრანსპორტო საშუალებათა შეძენას საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისათვის, აღმასრულებელი კომიტეტების, მათი განყოფილებებისა და სამმართველოების, სასამართლო ორგანოების შენობათა კაპიტალურ რემონტს, მათთვის ინვენტარისა და მოწყობილობის შეძენას (დაუშვებელია საქალაქო ბიუჯეტიდან აღნიშნული სახსრების ამოღება იმ ასიგნებათა ჯარდ, რომლებიც გამოყენებული არ არის ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების გეგმისა და სოციალურ-კულტურული დაწესებულებების ქსელის განვითარების გეგმის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით);

ზ) საჭირო შემთხვევებში ბიუჯეტის სახსრების შესრულების პროცესში ხელახლა ანაწილებს საქალაქო ბიუჯეტის სახსრებს ერთიდან ერთში, აგრეთვე ხელახლა ანაწილებს ხელოსანთა ასოციაციის ფონდის ფარგლებში.

ვ) განიხილავს და ამტკიცებს ანგარიშს საქალაქო ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

ზ) საჭირო შემთხვევებში საქალაქო ბიუჯეტის სახსრებიდან ერთიანად ფულად დახმარებას უწევს იმ მოქალაქეებს, რომლებიც დაზარალდნენ სტიქიური უბედურებისაგან, კანონმდებლობის დადგენილი წესითა და ოდენობით;

თ) ხელმძღვანელობს მუშაობას სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებების გამოანგარიშებისა და გადახდევინებისათვის;

ი) ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-2 მუხლის შესაბამისად ამცირებს განაკვეთებს და აწესებს შეღავათებს ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებების მიხედვით როგორც ცალკეული კატეგორიების დასაბეგრი ობიექტებისა და გადამხდელების ჯგუფებისათვის, ისე ცალკეულ გადამხდელთათვის; უფლება აქვს არ შემოიღოს ქალაქის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადი; აძლევს შეღავათებს სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად;

კ) კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ცალკეული გადამხდელებისათვის აწესებს დამატებითს შეღავათებს სახელმწიფო ბაჟის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-3 მუხლისა და მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-4 მუხლის შესაბამისად;

ლ) განიხილავს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის განყოფილებათა კვარტალურ საკასო გეგმებს და იღებს ზომებს მათი შესრულებისათვის; იღებს გადაწყვეტილებებს სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებათა მიერ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისა და იმ სახლების რემონტისათვის, რომლებიც მოქალაქეთა პირად საკუთრებაშია, ფოლადი სახსრების მიცემის შესახებ გამოყოფილი ლიმიტის ფარგლებში;

მ) წარმართავს სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების მუშაობას, განსაზღვრავს მათი ქსელის განვითარებასა და განლაგებას;

ნ) წარმართავს სახელმწიფო დაზღვევის ადგილობრივი ორგანოების მუშაობას, ეხმარება დაზღვევის ყველა სახეობის განვითარების საქმეში; კანონმდებლობის შესაბამისად ცალკეულ მოქალაქეებს აძლევს შეღავათებს სახელმწიფო საკალდებულო დაზღვევისას.

მუხლი 14. მრეწველობის დარგში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო

ა) ხელმძღვანელობს საქალაქო დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოებს, უზრუნველყოფს საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებას, კონტროლს უწევს ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი სახსრების გამოყენებას, გამოშვებული პროდუქციის ხარისხს, ამტკიცებს მათი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებს; დადგენილი წესით ანაწილებს მიღებულ მოგებას;

ბ) სახელმწიფო მართვის ზემოვომ ორგანოებთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებებს სამრეწველო საწარმოთა ორგანიზაციის, რეორგანიზაციისა თუ ლიკვიდაციის შესახებ, საქალაქო დაქვემდებარების ფირმების, გაერთიანებებისა და ტრესტების შექმნის შესახებ;

გ) ანაწილებს საქალაქო დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოთა პროდუქციას, რომელიც მიღებულია ადგილობრივი ნედლეულისაგან, საწარმოთა საკუთარი დამზადების ნარჩენებისა და ნედლეულისაგან;

დ) ახორციელებს ღონისძიებებს ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე სახალხო მოხმარების საქონლისა და ადგილობრივ საშენ მასალათა წარმოების განვითარებისათვის, ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოთა წარმოების იმ ნარჩენების გამოყენებით, რომლებიც ცენტრალიზებული წესით არ წაწილდება, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავებისათვის; წყვეტს ადგილობრივი ნედლეულის, სათბობისა და სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნარჩენების დამატებით გამოვლენილი რესურსების გამოყენების საკითხებს;

ე) დახმარებას უწევს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ ზემდგომი დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოს ეფექტიანნების, შრომის ნაყოფიერების გაღიდებაში. მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენებაში. მუშათა და მოსამსახურეთა სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუჯობესებაში;

ვ) აძლევს აუცილებლად განსახილველ დასკვნებს იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია მოქმედი სამრეწველო საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების გაფართოებასა და ახალთა მშენებლობასთან; საჭირო შემთხვევებში შეაქვს წინადადებანი ქალაქის ტერიტორიაზე ზემდგომი დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოთა ორგანიზაციის, რეორგანიზაციისა ან ლიკვიდაციის შესახებ;

ზ) ხელს უწყობს სამრეწველო საწარმოებს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი ფორმების ათვისებაში, მუშაობის ეკონომიური ანალიზის ჩატარებაში, წარმოების რეზერვების გამოვლენასა და გამოყენებაში და ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში;

თ) იღებს ზომებს ახალი ხალხური მხატვრული სარეწების ოა ხელოსნობის ორგანიზაციისა და მომეფი სარეწების განვითარებისათვის; დადგენილი წესით ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს აძლევს ნებართვებს რეწვისა და ხელოსნობისათვის.

მუხლი 15. მშენებლობის, დაგეგმარების, განაშენიანების, მიწათსარგებლობისა და წყალსარგებლობის დარგში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო

ა) ეუფლება ქალაქის გენერალური გეგმის და გარეუბნის ზონის დაგეგმარების პროექტების შემუშავებას, განიხილავს ამ პროექტებს და დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარუდგენს სახელმწიფო მართვის შესაბამის ზემდგომ ორგანოს;

ბ) ამტკიცებს ქალაქის რაონების, მიკრორაიონებისა და ქალაქთშენებლობის სხვა კომპლექსების დეტალური დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტებს, საინჟინრო ნაგებობათა და კეთილმოწყობის პროექტებს;

გ) ამტკიცებს ქალაქის განაშენიანების წესებს მისი გენერალური გეგმის შესაბამისად;

დ) კონტროლს უწევს ქალაქის ტერიტორიაზე წარმოებულ მშენებლობას; კრძალავს ან შეაჩერებს საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას, რომლებიც კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით წარმოებს;

ე) ხელმძღვანელობს საქალაქო დაქვემდებარების სამშენებლო ორგანიზაციებს, უზრუნველყოფს მათ მიერ საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებას;

ვ) ორგანიზაციას უწევს საბინაო, კომუნალურ, საგზაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და სხვა ობიექტების მშენებლობას ადგილობრივი საბჭოებისათვის გამოყოფილი სახსრებით; ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თანხმობით წყვეტს საბინაო, კომუნალური, საგზაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მშენებლობისათვის მათ მიერ გამოყოფილი სახსრების ერთობლივი გამოყენების, აგრეთვე საჭირო შემთხვევებში, ამ სახსრების გაერთიანების საკითხებს, გამოდის შემკვეთად ან განსაზღვრავს შემკვეთს მშენებლობის ამ სახეობებში;

ზ) ამტკიცებს საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ფარგლებში საქალაქო დაქვემდებარების მშენებლობებისა და ობიექტების პროექტებსა და სატატულო სიებს;

თ) აწარმოებს დადგენილი წესით საცხოვრებელი სახლების, კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფისა და საქალაქო დაქვემდებარების სხვა ობიექტების რეკონსტრუქციის, გაფართოების, რემონტისა და კეთილმოწყობის სამუშაოებს;

ი) დადგენილი წესით ნიშნავს სახელმწიფო მიმღებ კომისიებს, განიხილავს და ამტკიცებს საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების დამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების აქტებს. აგრეთვე მონაწილეობას იღებს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული სხვა დამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღებაში;

კ) განაკვეთს ქალაქის ფარგლებში მთელ მიწებს: აძლევს და ჩამოართმევს მიწის ნაკვეთებს და წყვეტს საადგილმამულო დავას სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში ან წესით; ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს მიწების გამოყენებაზე;

ლ) კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში და წესით განაგებს წყლის ობიექტებს ქალაქის ტერიტორიაზე, ახორციელებს წყლების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კონტროლს;

მ) აძლევს სანებოდ გაჩერებულ სასარგებლო წიაოისიერნი დამოშავების ნებართვას, ახორციელებს კონტროლს სამუშაოთა წარმოების დადგენილი წესის დაცვაზე;

ნ) კონტროლს უწევს ბუნების დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესრულებას.

მუხლი 16. საბინაო, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის დარგში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო

ა) ხელმძღვანელობს საბინაო მეურნეობას, საბჭოსადმი დაქვემდებარებულ საბინაო მეურნეობის ორგანოს; ამტკიცებს საბინაო მეურნეობის განვითარების ნაკრებ პერსპექტიულ და მიმდინარე გეგმებს და კონტროლს უწევს მათს შესრულებას; უზრუნველყოფს საბჭოს მაგალითობაში არსებული საბინაო ფონდის ჯეროვან ტექნიკურ მდგომარეობას, კაპიტალურ და მიმდინარე რემონტს;

ბ) ხელმძღვანელობს კომუნალურ მეურნეობას, ქალაქის კეთილმოწყობას, აგრეთვე საქალაქო დაქვემდებარების კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის საწარმოებსა და ორგანიზაციებს; ამტკიცებს კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის განვითარების ნაკრებ პერსპექტიულ და მიმდინარე გეგმებს და კონტროლს უწევს მათს შესრულებას;

გ) ხელმძღვანელობს ელექტრო-წყალსადენების, საკანალიზაციო, თბო-გაზის ქსელებისა და საქალაქო დაქვემდებარების ნაგებობათა ექსპლუატაციას, განიხილავს და აძლევს დასკვნებს ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ აღნიშნული ქსელებისა და ნაგებობების მშენებლობის გეგმების თაობაზე; კონტროლს უწევს ჯამშენდი ნაგებობებისა და მოწყობილობის მშენებლობასა და ექსპლუატაციას;

დ) კონტროლს უწევს ზემდგომი დაქვემდებარების საბინაო და კომუნალური მეურნეობის ორგანოების საქმიანობას, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კუთვნილი საბინაო ფონდის, კომუნალური საწარმოებისა და ნაგებობების მდგომარეობასა და სწორ ექსპლუატაციას, კონტროლს უწევს აგრეთვე კოოპერატიული საცხოვრებელი სახლებისა და მოქალაქეთა პირად საკუთრებაში მყოფი საცხოვრებელი სახლების მოვლას; იღებს ზომებს მოსახლეობის სათბობით უზრუნველსაყოფად;

ე) დადგენილი წესით ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მონაწილეობას მიიღებინებს ქალაქის კეთილმოწყობისა და ზეიბის მშენებლობის სამუშაოებში; კონტროლს უწევს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის ტერიტორიის კეთილმოწყობას;

ვ) ახორციელებს კონტროლს იმაზე, რომ სათბობითა და სხვა სახის კომუნალური მომსახურებით უზრუნველყოფილ ოქნის სახლთა განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებები, ჩატარდეს მათი შენობების რემონტი;

ზ) აწარმოებს იმ მოქალაქეთა აღრიცხვას, რომლებსაც საცხოვრებელი ფართობი ესაჭიროებათ; კონტროლს უწევს საწარმოებში. დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა, იმ მოქალაქეთა და მოსამსახურეების აღრიცხვის მდგომარეობას, რომლებსაც საცხოვრებელი ფართობი ესაჭიროებათ;

თ) ანაწილებს საბჭოს კუთვნილ საბინაო ფონდს; კონტროლს უწევს საცხოვრებელი ფართობის სწორ განაწილებას, აგრეთვე ამტკიცებს ადმინისტრაციისა და პროფკომიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების ერთობლივ გადაწყვეტილებებს სახელმწიფო, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში საცხოვრებელი ფართობის მიცემის შესახებ, გაოლა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა: მოქალაქეებს აძლევს ერთიან ორდერებს საცხოვრებელი ფართობის დასაკავებლად;

ი) აწარმოებს არასაცხოვრებელი შენობების აღრიცხვის და საწარმოებთან. დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან შეთანხმებით ახორციელებს მათს განაწილებას;

კ) გამოაქვს გადაწყვეტილებანი ქალაქის ტერიტორიაზე საბინაო-სამშენებლო და სხვა კოოპერატივების ორგანიზაციის შესახებ, რეგისტრაციაში ატარებს მათ, წესდებებს და კონტროლს უწევს აქ კოოპერატივების საქმიანობას;

ლ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სახელებს აძქმევს მოედნებს, ქუჩებს, შესახვევებს, გასასვლელებს, სკვერებს, ბულვარებს, პარკებს და ახდენს სახლების დანომვრას;

მ) უზრუნველყოფს სასაფლაოების, ძმათა სასაფლაოებისა და სხვა დასაკრძალავი ადგილების მოგლას.

მუხლი 17. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო

ა) ხელმძღვანელობს საქალაქო ტრანსპორტს, საქალაქო დაქვემდებარების სატრანსპორტო საწარმოებსა და ორგანიზაციებს;

ბ) კონტროლს უწევს ზემდგომი დაქვემდებარების იმ სატრანსპორტო საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობას, რომელთაც ქალაქის მოსახლეობის მომსახურება აქვთ დაკისრებული;

გ) ამტკიცებს ზიდასაქალაქო ტრანსპორტით სარგებლობის წესებს, ამ ტრანსპორტის მარშრუტებსა და მოძრაობის გრაფიკებს; კონტროლს უწევს მუშაობას ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით;

დ) უზრუნველყოფს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების ავტომანქანებისა და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვას; კონტროლს უწევს მოქალაქეთა პირად საკუთრებაში მყოფი ავტომოტოტრანსპორტით სარგებლობის სისწორეს;

ე) კონტროლს უწევს მგზავრთა მომსახურების ორგანიზაციას ვაგზლებში, აეროპორტებსა და ნავმისადგომებზე;

ვ) კონტროლს უწევს კავშირგაბმულობის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობას ქალაქის მოსახლეობის მომსახურების ხაზით, ეხმარება მათ სატელეფონო და საფოსტო კავშირგაბმულობის, რადიოფიკაციისა და ტელევიზიის განვითარებაში, კავშირგაბმულობის ხაზების შეკეთებასა და დაცვაში.

მუხლი 18. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების დარგში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო

ა) ხელმძღვანელობს ქალაქის ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობას, საზოგადოებრივ კვებას, აგრეთვე საქალაქო დაქვემდებარების სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებსა და ორგანიზაციებს;

ბ) კონტროლს უწევს ზემდგომი დაქვემდებარების ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობას;

გ) ამტკიცებს საქალაქო დაქვემდებარების ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა და ორგანიზაციათა საქონელბრუნვის საგეგმო დავალებებს; ამტკიცებს სეზონური წვრილი საცალო ვაჭრობის ქსელის გაშლის გეგმას;

დ) ხელმძღვანელობს ქალაქის ტერიტორიაზე საკოლმეურნეო ბაზრებს, ახორციელებს ღონისძიებებს საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარებისათვის, საკოლმეურნეო ბაზრების მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის, აგრეთვე საკონისო საწყისებზე სამომხმარებლო კოოპერაციის მეშვეობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობის გაფართოებისათვის; ადგენს კანონმდებლობით განსაზღვრული წესითა და ფარგლებში ერთიერადი გამოსაღებების ოდენობასა და საკოლმეურნეო ბაზრებზე გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთებს; კონტროლს უწევს სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციათა მუშაობას სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის, შენახვის, გადამუშავებისა და გაყიდვის ხაზით;

ე) კონტროლს უწევს ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვას, ზომა-წონის ხელსაწყოების მდგომარეობას, აგრეთვე ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, ორგანიზაციებში, ბაზრებსა და ვაჭრობის სხვა ადგილებში სანიტარიული წესების დაცვას;

ვ) იღებს ზომებს საქონელბრუნვაში სამრეწველო და სასურსათო საქონლის ადგილობრივი რესურსების ჩაბმისათვის; ახორციელებს ღონისძიებებს მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის, ვაჭრობის ახალი ფორმების დანერგვისათვის

მუხლი 19. საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო

ა) ხელმძღვანელობს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას, საქალაქო დაქვემდებარების საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებსა და ორგანიზაციებს, უზრუნველყოფს საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებას; კონტროლს უწევს ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი სახსრების გამოყენებას, ამტკიცებს მათი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებს, მიღებული მოგების დადგენილი წესით განაწილებას;

ბ) კონტროლს უწევს ზემდგომი დაქვემდებარების საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა და ორგანიზაციათა საქონელბრუნვის საგეგმო დავალებებს; ამტკიცებს სეზონური წვრილი საცალო ვაჭრობის ქსელის გაშლის გეგმას;

დ) ხელმძღვანელობს ქალაქის ტერიტორიაზე საკოლმეურნეო ბაზრებს, ახორციელებს ღონისძიებებს საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარებისათვის, საკოლმეურნეო ბაზრების მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის, აგრეთვე საკონისო საწყისებზე სამომხმარებლო კოოპერაციის მეშვეობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობის გაფართოებისათვის; ადგენს კანონმდებლობით განსაზღვრული წესითა და ფარგლებში ერთიერადი გამოსაღებების ოდენობასა და საკოლმეურნეო ბაზრებზე გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთებს; კონტროლს უწევს სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციათა მუშაობას სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის, შენახვის, გადამუშავებისა და გაყიდვის ხაზით;

ე) კონტროლს უწევს ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვას, ზომა-წონის ხელსაწყოების მდგომარეობას, აგრეთვე ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, ორგანიზაციებში, ბაზრებსა და ვაჭრობის სხვა ადგილებში სანიტარიული წესების დაცვას;

ვ) იღებს ზომებს საქონელბრუნვაში სამრეწველო და სასურსათო საქონლის ადგილობრივი რესურსების ჩაბმისათვის; ახორციელებს ღონისძიებებს მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის, ვაჭრობის ახალი ფორმების დანერგვისათვის

მუხლი 20. სახალხო განათლების დარგში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო

ა) ხელმძღვანელობს სახალხო განათლების, ბავშვთა სკოლამდელი და სკოლის გარეშე აღზრდის საქმეს; უზრუნველყოფს საყოველთაო-სავალდებულო სწავლებას; ახორციელებს სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვას;

ბ) კონტროლს უწევს იმ სბავშვო სახლების, ბავშვთა სკოლამდელ და სკოლის გარეშე დაწესებულებათა მუშაობას, რომლებიც ქალაქის ბიუჯეტზე არ იმყოფებიან;

გ) იღებს ზომებს სკოლების, სბავშვო სახლების, სკოლა-ინტერნატების, სბავშვო სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის;

დ) ანაწილებს დადგენილი წესით საყოველთაო სწავლების ფონდს, კონტროლს უწევს მის გამოყენებას;

ე) წყვეტს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით ისეთ საკითხებს, როგორიც არის მოქალაქეთათვის შეღავათების მიცემა სკოლა-ინტერნატებში, სკოლებთან არსებულ ინტერნატებში ბავშვთა შენახვისათვის, აგრეთვე გაგრძელებული დღის სკოლებში (ჯგუფებში) ბავშვთა კვების საფასურის გადახდისას.

ვ) უზრუნველყოფს უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა მოწყობას საბავშვო სახლებში, სკოლა-ინტერნატებში, სკოლებთან არსებულ ინტერნატებში და მოქალაქეთა ოჯახებში აღსაზრდელად; წყვეტს შვილად აყვანის საკითხებს, აგრეთვე არასრულწლოვანებზე მეურეობისა და მზრუნველობის საკითხებს, იცავს არასრულწლოვანთა უფლებებს; ორგანიზაციას უწევს მუშაობას არასრულწლოვანთა უზედამხედველობის აღსაკვეთად;

ზ) იღებს ზომებს სკოლის გარეთ ბავშვთა დასვენების ორგანიზაციისათვის მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს ბავშვთა უმეთვალყურეობისა და არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 21. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისა და მეცნიერების დარგში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო

ა) ხელმძღვანელობს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, საქალაქო დაქვემდებარების კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, იღებს ზომებს მათი მატერიალურ-ფინანსური ბაზის განსამტკიცებლად, კონტროლს უწევს კულტურის სხვა ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობას მათი დაქვემდებარების მიუხედავად;

ბ) კონტროლს უწევს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კულტფონდებს ხარჯვის, გამოყენებას და საჭირო შემთხვევებში მათთან შეთანხმებით ახორციელებს ღონისძიებებს აღნიშნული სახსრების ცენტრალიზებულად გამოყენებისათვის; იღებს ზომებს ხალხური შემოქმედებისა და მხატვრული თვითმოქმედების განვითარებისათვის; ორგანიზაციას უკეთებს საერთო-საქალაქო ღონისძიებათა ჩატარებას კულტურის დარგში;

გ) ხელმძღვანელობს მოსახლეობის კინომომსახურებას. იღებს ზომებს კინოქსელის გაფართოებისათვის;

დ) ხელს უწყობს მეცნიერების განვითარებას; ეხმარება მუშაობაში ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, უმაღლეს და სამუალო სპეციალურ სასწავლებლებს;

ე) ხელს უწყობს ახალი სამოქალაქო წეს-ჩვეულებების დანერგვას ყოფა-ცხოვრებაში;

ვ) უზრუნველყოფს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული ისტორიული, ისტორიულ-რევოლუციური და მემორიალური კომპლექსებისა და ძეგლების, მხედრული და შრომითი დიდების, კულტურისა, ხელოვნების, არქიტექტურის. არქეოლოგიური ძეგლებისა და ნაკრძალების აღრიცხვასა და დაცვას;

ზ) ხელს უწყობს საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდ

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შესახებ

(გაგრძელება)

შესრულებაზე, მათ შორის სანიტარიული მოთხოვნების დაცვაზე ამ დარგში;

ე) უზრუნველყოფს ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილების, აგრეთვე მათი ლიკვიდაციის ღონისძიებათა განხორციელებას; ეპიდემიური ინფექციური დაავადებების გაჩენის ან გავრცელების საშიშროების შემთხვევაში დადგენილი წესით შემოიღებს ქალაქის ტერიტორიაზე შრომის, სწავლის, მოძრაობისა და გადაზიდვა-გადმოზიდვის განსაკუთრებულ პირობებსა და რეჟიმებს, რომლებიც ითვალისწინებენ ამ დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილებას და ლიკვიდაციას;

ზ) მონაწილეობას იღებს ადგილების კურორტად ცნობის, კურორტების სანატარიული დაცვის ზონების საზღვრების დადგენისა და მათი რეჟიმის განსაზღვრის საკითხთა გადაწყვეტაში;

თ) ორგანიზაციას უკეთებს დედათა და ბავშვთა დაცვას; უზრუნველყოფს გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გატარებას ბავშვებსა და მოზარდებს შორის, კონტროლს უწევს ბავშვებისა და მოზარდებისათვის სამედიცინო დახმარების ორგანიზაციას;

ი) წარმართავს წითელი ჯვრის საქართველოს სსრ საზოგადოების საქმიანობას;

კ) ხელმძღვანელობას უწევს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეს; ორგანიზაციას უკეთებს საერთო-საქალაქო სპორტულ ღონისძიებათა ჩატარებას;

ლ) ხელმძღვანელობას უწევს სასამართლოს მიერ არაქმედუნარიანად ან შეზღუდულ ქმედუნარიანობის მქონედ მიჩნეულ სრულწლოვან პირებზე მეურვეობისა და მბრუნველობის საქმეს;

მ) ამტკიცებს ქალაქის ტერიტორიაზე სპორტულ შენობათა და ნაგებობათა განლაგების გეგმებს მათი დაქვემდებარების მიუხედავად;

ნ) იღებს ზომებს მასობრივი დასვენების ქალაქგარე ზონების განვითარებისათვის, მათი აღჭურვისა და კეთილმოწყობისათვის. კონტროლს უწევს ამ ზონების გამოყენებას.

მუხლი 23. შრომისა და კადრების მომზადების დარგში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო

ა) აწარმოებს შრომითი რესურსების აღრიცხვას და აწესრიგებს მათს განაწილებას ქალაქის ტერიტორიაზე, ახორციელებს მათი რაციონალური გამოყენების ღონისძიებებს; ორგანიზაციას უწევს მოქალაქეთა შრომითს მოწყობას;

ბ) ახორციელებს კონტროლს შრომის კანონმდებლობის შესრულებაზე, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვაზე საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

გ) ამტკიცებს იმ ახალგაზრდათა შრომითი მოწყობის გეგმებს, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს ამთავრებენ, და უზრუნველყოფს, რომ ეს გეგმები შეასრულოს ყველა საწარმომ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ;

დ) პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებს დახმარებას უწევს მუშაობაში და მოსწავლეებით მათ დაკომპლექტებაში; ახორციელებს კონტროლს მასობრივი პროფესიების კადრების მომზადებასა და გადამზადებაზე საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

ე) უზრუნველყოფს მუშების ორგანიზებული შეგროვების გეგმების შესრულებას და ახორციელებს კონტროლს იმაზე, რომ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა შესასრულონ ვალდებულებანი საწარმოებსა და მშენებლობებზე წარგზავნილი მუშებისათვის საჭირო საწარმოო და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის;

ვ) ხელს უწყობს საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას, შრომის მოწინავე მეთოდების გავრცელებასა და მისი ნაყოფიერების ამაღლებას, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას;

ზ) გეგმავს ქალაქისათვის საჭირო სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა დარგების მუშაკების კონტინგენტს. უზრუნველყოფს ამ კადრების სწორად განაწილებას, გამოყენებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას;

თ) ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებით განსაზღვრავს მათი მუშაობის დაწყების დროს; აღგენს მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის დღეებსა და საათებს.

მუხლი 24. სოციალური უზრუნველყოფის დარგში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო

ა) ხელმძღვანელობს სოციალური უზრუნველყოფის საქმეს; უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი პენსიებისა და დახმარებების დროულად და სწორად დანიშნასა და გადახდას, მოქალაქეთათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებისა და უპირატესობების მიცემას;

ბ) ხელმძღვანელობს საქალაქო დაქვემდებარების სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებს და კონტროლს უწევს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული ზემდგომი დაქვემდებარების სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებათა მუშაობას;

გ) აღძრავს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით შუამდგომლობებს საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური პენსიების დაწესების შესახებ;

დ) ახორციელებს ღონისძიებებს ინვალიდების, სამხედრო მოსამსახურეთა, დაღუპულ მეომართა და პატიმრებთა ოჯახების წევრების შრომითი მოწყობისათვის, ორგანიზაციას უწევს ინვალიდთა პროფესიულ სწავლებას; უზრუნველყოფს ისეთი წარმოებების ორგანიზაციას, რომლებშიც შესაძლებელია ინვალიდთა შრომის გამოყენება;

ე) განიხილავს სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებში მოქალაქეთა გაგზავნასთან დაკავშირებულ საკითხებს;

ვ) წყვეტს იმ სრულწლოვან პირებზე მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების საკითხებს, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ დამოუკიდებლად განახორციელონ თავიანთი უფლებანი და შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი, იღებს ზომებს მათი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად;

ზ) ახორციელებს კონტროლს საექიმო-შრომითი ექსპერტიზის ორგანოების მუშაობაზე;

თ) ეხმარება მუშაობაში უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა საქალაქო საზოგადოებებს.

მუხლი 25. სახალხო კონტროლის განხორციელების, სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის, სახელმწიფო, საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის დარგში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო

ა) ქმნის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტს და ხელმძღვანელობს მის საქმიანობას; იღებს ზომებს ქალაქის ტერიტორიაზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებაში მშრომელთა მონაწილეობის კოორდინაციისათვის;

ბ) უზრუნველყოფს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონების, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ კანონების და სახელმწიფო ხელისუფლების ზემდგომი ორგანოებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების სხვა აქტების დაცვას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, სოციალისტური საკუთრების, მოქალაქეების, სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებისა და კანონით უზრუნველყოფილი ინტერესების დაცვას; ებრძვის ზედმეტობებს, მფლანგველობას, კუთხურობას ქალაქის მეურნეობებში; ორგანიზაციას უკეთებს მოსახლეობისათვის კანონმდებლობის ახსნა-განმარტების და იურიდიული დახმარების გაწევის საქმეს;

გ) საჭირო შემთხვევებში აუქმებს საბჭოსადმი დაქვემდებარებული მართვის ორგანოების, აგრეთვე საქალაქო დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ბრძანებებსა და განკარგულებებს; აუქმებს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც კანონმდებლობას ეწინააღმდეგებიან;

დ) შეიჩერებს საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის, კეთილმოწყობის, მიწათსარგებლობის, განაშენიანების, ბუნებისა და კულტურის ძეგლთა დაცვის, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებზე ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა განლაგების, განვითარებისა და ორგანიზაციის გეგმების, საჭირო შემთხვევებში აუქმებს ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების ზემდგომ ორგანოებს;

ე) ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-2 მუხლის შესაბამისად აძლევს შეღავათებს ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებების მიხედვით აგრეთვე რაიონული სფინანსო ორგანოების წინასწარი დასკვნით, სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ სსრ კავშირის კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად;

ვ) განიხილავს ქალაქის გენერალურ გეგმას და დადგენილი წესით წარუდგენს მას დასამტკიცებლად სახელმწიფო მართვის შესაბამის ზემდგომ ორგანოებს; განაგებს ძოელ მიწებს ქალაქის ფარგლებში;

ზ) ხელმძღვანელობს საქალაქო დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოებსა და საშენებლო ორგანიზაციებს, ქალაქის საბინაო და კომუნალურ მეურნეობას, კეთილმოწყობას, საქალაქო ტრანსპორტს, სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობას და საზოგადოებრივ კვებას, საქალაქო დაქვემდებარების საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებსა და ორგანიზაციებს;

თ) ხელმძღვანელობს ქალაქის ტერიტორიაზე კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, ჯანმრთელობის დაცვას, სოციალური უზრუნველყოფის, სახალხო განათლების საქმეს;

ი) უზრუნველყოფს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონების, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ კანონების, სახელმწიფო ხელისუფლების ზემდგომი ორგანოებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების სხვა აქტების დაცვას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, სოციალისტური საკუთრების, მოქალაქეების, სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებისა და კანონით უზრუნველყოფილი ინტერესების დაცვას; ებრძვის ზედმეტობებს, მფლანგველობას, კუთხურობას ქალაქის მეურნეობებში; ორგანიზაციას უკეთებს მოსახლეობისათვის კანონმდებლობის ახსნა-განმარტების და იურიდიული დახმარების გაწევის საქმეს;

კ) საჭირო შემთხვევებში აუქმებს საბჭოსათვის დაქვემდებარებული მართვის ორგანოების, აგრეთვე საქალაქო დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ბრძანებებსა და განკარგულებებს; შეაჩერებს საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის, კეთილმოწყობის, მიწათსარგებლობის, განაშენიანების, ბუნების და კულტურის ძეგლთა დაცვის, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებზე ზემდგომი ორგანოების ბრძანებებსა და განკარგულებებს; შეაჩერებს საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის, კეთილმოწყობის, მიწათსარგებლობის, განაშენიანების, ბუნების და კულტურის ძეგლთა დაცვის, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებზე ზემდგომი ორგანოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა იმ ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულებას, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონმდებლობას, და ამის შესახებ აცნობებს შესაბამის ზემდგომ ორგანოებს;

ლ) შეუძლია განახორციელოს ამ კანონის 12-26 და 29-ე მუხლებით გათვალისწინებული სხვა უფლებები და მოვალეობები სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის და აჭარის ასსრ კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში.

მუხლი 31. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო რაიონული დაქვემდებარების ქალაქისა, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული საკითხებისა, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის „მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს შესახებ“, კანონით გათვალისწინებული საკითხებისა, გადაწყვეტს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვა საკითხებსაც, რომლებიც მის გამგებლობასა მიკუთვნებული სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობით, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე აფხაზეთის ან აჭარის ასსრ კანონმდებლობით.

მუხლი 32. რაიონული დაქვემდებარების ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების საქმიანობის ხელმძღვანელობას კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში ახორციელებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო.

თავი III.

მშრომელთა დეპუტატების ქალაქის რაიონული საბჭოს უფლება-მოვალეობანი

მუხლი 33. მშრომელთა დეპუტატების ქალაქის რაიონული საბჭო

ა) ამტკიცებს საარაინონ მეურნეობის განვითარებისა და რაიონის სოციალურ-კულტურული მშენებლობის ნაკრებ პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს, ორგანიზაციასა და კონტროლს უწევს მათს შესრულებას; ამტკიცებს პერსპექტიულ და წლიურ საგეგმო დავალებებს რაიონული დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე აღნიშნულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა განლაგების, განვითარებისა და სპეციალიზაციის გეგმებს;

ბ) განიხილავს რაიონის ტერიტორიაზე ზემდგომი დაქვემდებარების ადგილობრივი მრეწველობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების, კულტურის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა და ორგანიზაციათა განლაგების, განვითარებისა და სპეციალიზაციის გეგმებს, საჭირო შემთხვევებში შეაქცევ თავისი წინადადებები შესაბამის ზემდგომ ორგანოებში;

გ) განიხილავს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა გეგმების ამ ნაწილში, რომელიც ეხება სანინაო და კომუნალური მეურნეობის განვითარებას, გზების, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას, სახალხო მოხმარების საქონლისა და ადგილობრივი სშენი მასალების წარმოებას, კეთილმოწყობას, ვაჭრობას, საზოგადოებრივ კვებას, სახალხო განათლებას, ჯანმრთელობის დაცვას, კულტურისა და მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, საჭირო შემთხვევებში შეაქცევ თავისი წინადადებები შესაბამის ზემდგომ ორგანოებში; ამტკიცებს ამ საკითხებზე ნაკრებ საგეგმო მაჩვენებლებს; ადასტურებს ისინი რაიონული მეურნეობის განვითარებისა და რაიონის სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმაში;

დ) ამტკიცებს რაიონის ბიუჯეტს და ორგანიზაციას უწევს მის შესრულებას; საჭირო შემთხვევებში ბიუჯეტის შესრულების პროცესში ხელახლა ანაწილებს საბიუჯეტო სახსრებს კარიდან კარში (გარდა ხელფასის ასიგნობებისა); ამტკიცებს ანგარიშს ქალაქის ბიუჯეტის შესრულების შესახებ; საქალაქო ბიუჯეტის შესრულებისას დამტკიცებთ მიღებულ შემოსავალს, აგრეთვე გასავალზე შემოსავლის **გადაჭარბების თანხებს,** რომლებიც წარმოიშობა წლის დამლევისათვის შემოსავლის გადაჭარბებით შესრულების ან გასავლის მომჭირნეობის შედეგად, ახმარს ქალაქის მეურნეობისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დაფინანსებას, მათ შორის კაპიტალურ დაბანდებებს, ადმინისტრაციულ ნაგებობათა მშენებლობასა და რემონტს და საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისათვის ინვენტარის, მოწყობილობისა და სატრანსპორტო საშუალებების შეძენას (დაუშვებელია საქალაქო ბიუჯეტიდან აღნიშნული სახსრების ამოღება იმ ასიგნებათა გარდა, რომლებიც გამოყენებული არ არის ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების გეგმისა და სოციალურ-კულტურული დაწესებულებების ქსელის განვითარების გეგმის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით);

ე) ხელმძღვანელობს მუშაობას საბელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებების გამოანგარიშებისა და გადახდევინებისათვის; ამცირებს განაკვეთებს და აწესებს შეღავათებს ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებების მიხედვით როგორც ცალკეული კატეგორიების დასაბეგრი ობიექტებისა და გადამხდელთა ჯგუფებისათვის, ისე ცალკეული გადამხდელებისათვის ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-2 მუხლის შესაბამისად; აძლევს შეღავათებს სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად; კანონით გათვალისწინებული წესით ცალკეული გადამხდელებისათვის ადგენს დამატებითს შეღავათებს სახელმწიფო ბაჟის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-3 მუხლისა და მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-4 მუხლის შესაბამისად;

ვ) ხელმძღვანელობს რაიონული დაქვემდებარების საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას, რაიონის სანინაო და კომუნალურ მეურნეობასა და კეთილმოწყობას, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, სახალხო განათლებას, ჯანმრთელობის დაცვას, სოციალური უზრუნველყოფის საქმეს;

ზ) ქმნის სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტს და ხელმძღვანელობს მის საქმიანობას; იღებს ზომებს რაიონის ტერიტორიაზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებაში მშრომელთა მონაწილეობის კოორდინაციისათვის; უზრუნველყოფს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონებისა და სახელმწიფო ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების სხვა აქტების დაცვას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, სოციალისტური საკუთრების, მოქალაქეების, სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებისა და კანონით უზრუნველყოფილი ინტერესების დაცვას; ებრძვის ზედმეტობებს, მფლანგველობას, კუთხურობას ქალაქის მეურნეობებში; ორგანიზაციას უკეთებს მოსახლეობისათვის კანონმდებლობის ახსნა-განმარტების და იურიდიული დახმარების გაწევის საქმეს;

თ) რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის დამტკიცება;

ი) საქალაქო, რაიონული მეურნეობის განვითარებისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ნაკრები პერსპექტიული და წლიური გეგმების დამტკიცება;

კ) ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმების დამტკიცება;

ლ) გადაწყვეტილებათა მიღება დეპუტატთა შეკითხვების გამო;

მ) ქალაქის, რაიონის ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის დამტკიცება;

ნ) აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა დამტკიცება საქალაქო, ქალაქის რაიონული ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებული შემოსავლის, აგრეთვე გასავლზე შემოსავლის გადამეტების იმ თანხების გამოყენების შესახებ, რაც იქმნება წლის დამლევს შემოსავლის გადაჭარბებით შესრულების ან გასავლის ნაწილში მომჭირნეობის შედეგად;

ო) ქალაქის გენერალური გეგმის პროექტისა და საგარეუბნო ზონის დაკვეგმარების პროექტის განხილვა და მათი წარდგენა დასამტკიცებლად სახელმწიფო მართვის შესაბამის ზემდგომ ორგანოებში.

მუხლი 46. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებებს იღებენ ღია კენჭისყრით საბჭოს დეპუტატთა საერთო რიცხვის ხმების უბრალო უმრავლესობით და მათ ხელს აწერენ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებებს აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობის არჩევის ან შეცვლის შესახებ ხელს აწერენ საბჭოს სხვაობის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 47. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებებს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ატყობინებს დაინტერესებულ ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს შვიდ დღის ვადაში.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებებში მოცემული წინადადებები და რეკომენდაციები ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მისამართით უნდა განიხილონ ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა და განიხილვის შედეგები შეატყობინონ საბჭოს ათი დღის ვადაში.

მუხლი 48. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (საოლქო და რაიონული დაქვემდებარების), აგრეთვე ქალაქის რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებები შეუძლია გაუქმოს მშრომელთა დეპუტატების ზემდგომმა საბჭომ და შეაჩეროს ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა.

რესპუბლიკური დაქვემდებარების (საქართველოს სსრ, აფხაზეთის და აჭარის ასსრ) ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილებები შეუძლიათ გაუქმონ შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, აფხაზეთის და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა და შეაჩეროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, აფხაზეთის და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა.

მუხლი 49. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს უფლება აქვს გაუქმოს მშრომელთა დეპუტატების ქვემდგომი საბჭოების და მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი.

მუხლი 50. რესპუბლიკური (საქართველოს სსრ, აფხაზეთის და აჭარის ასსრ) და საოლქო დაქვემდებარების ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილებანი, რომლებიც ითვალისწინებენ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას მათი დარღვევისათვის, ძალაში შედიან პრესაში გამოქვეყნებიდან 15 დღის შემდეგ და მოქმედებენ გადაწყვეტილებაში მითითებული ვადის განმავლობაში, მაგრამ არა უმეტეს საბჭოს უფლებამოსილების ვადისა.

(დასასრული მე-4 გვერდზე).

თავი IV.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს მუშაობის ორგანიზაცია

1. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს სესია

მუხლი 36. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს სესიებს იწვევს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი წელიწადში არანაკლებ ექვსჯერ, ესე იგი ორ თვეში ერთხელ მაინც, ხოლო მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სესიებს იმ ქალაქებში, რომელთაც აქვთ რაიონული დაყოფა, იწვევენ წელიწადში არანაკლებ ოთხჯერ, ე. ი. სამ თვეში ერთხელ.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს სესია შეიძლება მოიწვიონ აგრეთვე ქალაქის, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატების საერთო რიცხვის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით.

მუხლი 37. ახლად არჩეული მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს პირველ სესიას იწვევს წინა მოწვევის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა არჩევნების შემდეგ და მას ხსნის ერთ-ერთი ასაკით უხუცესი დეპუტატი. საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შემდგომ სესიებს ხსნის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

მუხლი 38. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს პირველ სესიას ახლად შექმნილ ქალაქში, რაიონში იწვევს მშრომელთა დეპუტატების ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა ქალაქის, რაიონის შექმნის დღიდან, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოეწყობა ახლად შექმნილი ქალაქის, ქალაქის რაიონის საბჭოს არჩევნები, — არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს არჩევნების დღიდან.

მუხლი 39. ახლად შექმნილი რესპუბლიკური (საქართველოს სსრ და ასსრ) დაქვემდებარების ქალაქის საქალაქო საბჭოს პირველ სესიას იწვევს შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთის ან აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 40. სესიის გაძღოლისათვის საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო დეპუტატთაგან ირჩევს თავმჯდომარესა და მდივანს.

მუხლი 41. საბჭოს სესიის ოქმს ხელს აწერენ სესიის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 42. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებას სესიის მოწვევის თარიღისა და ჩატარების ადგილის შესახებ, აგრეთვე საკითხებს, რომლებსაც საბჭოს წარუდგენენ განსახილველად, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დეპუტატებს აცნობს და მოსახლეობას აუწყებს სესიის განსახილველ არა უგვიანეს ათი დღისა.

მუხლი 43. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს სესია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს დეპუტატთა საერთო რიცხვის სულ ცოტა ორი მესამედი.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით შეეძლოთ მონაწილეობა მიიღონ ზემდგომი საბჭოების დეპუტატებმა, აგრეთვე სესიაზე მოწვეულმა ქვემდგომი საბჭოების დეპუტატებმა, საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

მუხლი 44. საკითხება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს სესიის განსახილველად შეაქვეთ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, მუდმივ კომისიებსა და დეპუტატებს.

წინადადებები საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს სესიის დღის წესრიგთან დაკავშირებით შეიძლება წარმოადგინონ საწოგადოებრივი ორგანიზაციების საქალაქო, რაიონულმა ორგანოებმა.

სესიის დღის წესრიგს და მუშაობის წესს ამტკიცებს საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო. სესიის დღის წესრიგში ამა თუ იმ საკითხის შეტანა ხდება საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც მიღებულია საბჭოს დეპუტატების საერთო რიცხვის ხმათა უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 45. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს სესიაზე შეიძლება განხილულ იქნეს და გადაწყდეს ყველა საკითხი, რომელიც საბჭოს გამგებლობას განეკუთვნება. ამასთანავე მხოლოდ სესიებზე შეიძლება განხილულ იქნეს და გადაწყდეს შემდეგი საკითხები:

ა) დეპუტატთა რწმუნებების ცნობა; დეპუტატთა რწმუნების მოხსნა დეპუტატთა პირადი განცხადებების საფუძველზე;

ბ) აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა და მისი შემადგენლობის შეცვლა; მუდმივი კომისიების შექმნა, არჩევა და მათი შემადგენლობის შეცვლა;

გ) ანგარიშები აღმასრულებელი კომიტეტისა და მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ;

დ) აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების შექმნა, მათი ხელმძღვანელების თანამდებობაზე დამტკიცება და განთავისუფლება;

ე) აღმასრულებელი კომიტეტის, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების სტრუქტურისა და შტატების დამტკიცება საქართველოს სსრ-ში მიღებული ნორმატივებისა და ამ აღმასკომისათვის დადგენილი ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობის შესაბამისად;

ვ) სახალხო კონტროლის საქალაქო, რაიონული კომიტეტის შექმნა, მისი შემადგენლობის დამტკიცება, სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნა და განთავისუფლება;

ზ) აღმასრულებელ კომიტეტთან ადმინისტრაციული და სამეთვალყურეო კომისიების, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების შექმნა;

თ) რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის დამტკიცება;

ი) საქალაქო, რაიონული მეურნეობის განვითარებისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ნაკრები პერსპექტიული და წლიური გეგმების დამტკიცება;

კ) ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმების დამტკიცება;

ლ) გადაწყვეტილებათა მიღება დეპუტატთა შეკითხვების გამო;

მ) ქალაქის, რაიონის ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის დამტკიცება;

ნ) აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა დამტკიცება საქალაქო, ქალაქის რაიონული ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებული შემოსავლის, აგრეთვე გასავლზე შემოსავლის გადამეტების იმ თანხების გამოყენების შესახებ, რაც იქმნება წლის დამლევს შემოსავლის გადაჭარბებით შესრულების ან გასავლის ნაწილში მომჭირნეობის შედეგად;

ო) ქალაქის გენერალური გეგმის პროექტისა და საგარეუბნო ზონის დაკვეგმარების პროექტის განხილვა და მათი წარდგენა დასამტკიცებლად სახელმწიფო მართვის შესაბამის ზემდგომ ორგანოებში.

მუხლი 46. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებებს იღებენ ღია კენჭისყრით საბჭოს დეპუტატთა საერთო რიცხვის ხმების უბრალო უმრავლესობით და მათ ხელს აწერენ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებებს აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობის არჩევის ან შეცვლის შესახებ ხელს აწერენ საბჭოს სესიის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 47. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებებს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ატყობინებს დაინტერესებულ ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს შვიდ

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შესახებ

ბიბლიოთეკა

დასასრული

გადაუდებელ შემთხვევებში (ტიფური უბედურება, ეპიდემია, ეპიზოოტია) გადაწყვეტილება შეიძლება სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს მისი გამოქვეყნების დღიდან.

2. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი

მუხლი 51. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არის საბჭოს აღმასრულებელი და განსაკარგულებელი ორგანო, რომელსაც ირჩევენ დეპუტატთა რიცხვიდან შემდეგი შემადგენლობით — საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, მდივანი და 7-დან 15-მდე წევრი.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო.

მუხლი 52. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (საოლქო, რაიონული დაქვემდებარების ქალაქის) და ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი უშუალოდ ანგარიშვალდებულია მისი ამრჩევი საბჭოს, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე.

რესპუბლიკური დაქვემდებარების (საქართველოს სსრ და ასსრ) ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი უშუალოდ ანგარიშვალდებულია მისი ამრჩევი საბჭოს, აგრეთვე შესაბამისად საქართველოს სსრ, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების წინაშე.

მუხლი 53. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე ხელმძღვანელობს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს, სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მართვის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს და წყვეტს საკითხებს, რომლებიც საბჭოს გამგებლობას განეკუთვნება, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც ამ კანონის 45-ე მუხლის შესაბამისად განხილულ უნდა იქნეს და გადაწყდეს მხოლოდ საბჭოს სხდომაზე.

მუხლი 54. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იწვევს საბჭოს სესიებს და უზრუნველყოფს მათს მომზადებას; ორგანიზაციას უწევს უმნიშვნელოვანეს საკითხებზე საბჭოს გადაწყვეტილებათა პროექტების წინასწარ განხილვას მოსახლეობის მიერ.

მუხლი 55. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საბჭოს სესიებს შორის პერიოდში კოორდინაციას უწევს საბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობას, ჩააბამს მათ იმ საკითხების მომზადებაში, რომლებსაც განიხილავენ საბჭოს სესიებზე და აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე, აცნობს კომისიებს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის, გეგმებს, ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებებს, განაზოგადებს და ავრცელებს უმდმივი კომისიების გამოცდილებებს, უზრუნველყოფს მათთვის ტექნიკური მომსახურების გაწევას, განიხილავს კომისიების მიერ წარმოდგენილ წინადადებებს.

მუხლი 56. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საჭიროო დახმარებას უწევს დეპუტატებს მათ მიერ დეპუტატის მოვალეობათა შესრულებაში, ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშის მომზადებასა და ჩაბარებაში, ინფორმაციას აწვდის დეპუტატებს საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულების მსვლელობის შესახებ, იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მიიღეს საბჭოს სესიებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების გამო და საბჭოს სესიათა შორის პერიოდში გაწეული მუშაობის ძირითადი საკითხების შესახებ.

მუხლი 57. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი წარადგენს საბჭოს დასამტკიცებლად ქალაქის, რაიონის მეურნეობის განვითარებისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ნაკრებ პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს, ქალაქის, რაიონის ბიუჯეტსა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს.

აღმასრულებელი კომიტეტი მოახსენებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონულ საბჭოს, ქალაქის, რაიონის მეურნეობის განვითარების, სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

მუხლი 58. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი წარადგენს საბჭოს დასამტკიცებლად ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმებს და ორგანიზაციას უკეთებს მათ შესრულებას, აცნობებს დეპუტატებსა და მოსახლეობას, თუ როგორ სრულდება განაწესები.

მუხლი 59. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ხელმძღვანელობას უწევს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებსა და სამმართველოებს, საქალაქო, რაიონული დაქვემდებარების საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს; საბჭოს სესიებს შორის პერიოდში ნიშნავს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელთა მოგალეობის შემსრულებლებს და გადაადგილებს მოვალეობის შესრულებისაგან აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა და სამმართველოების ხელმძღვანელებს, რაც შემდგომ უნდა დამტკიცდეს მორიგ სესიაზე.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აღმასრულებელ კომიტეტის განყოფილებათა და სამმართველოთა სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს, საქალაქო, რაიონული დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს (თანამდებობათა იმ სიის შესაბამისად, რომელსაც საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ამტკიცებს სახელმწიფო მართვის ზემდგომ ორგანოსთან შეთანხმებით).

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია განსახილველად მიიღოს საკითხები, რომლებიც მისი განყოფილებისა და სამმართველოების გამგებლობაშია.

მუხლი 60. ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ზემდგომი დაქვემდებარების იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა, საბინაო და კომუნალური მეურნეობის ორგანოთა, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და კულტურის იმ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების თანამდებობაზე დანიშვნა და განთავისუფლება, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ქალაქის, რაიონის მოსახლეობის მომსახურებისათვის, ხდება მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების შესაბამის საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

მუხლი 61. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებს იღებენ აღმასრულებელი კომიტეტის მთელი შემადგენლობის ხმების უბრალო უმრავლესობით და მათ ხელს აწერენ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებებს ხელს აწერს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებს იწვევენ საჭიროების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ ორჯერ თვეში.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება აღმასრულებელი კომიტეტის საერთო შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა.

მუხლი 62. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებში სათათბიროს ხმის უფლებით შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებმა და წევრებმა, საბჭოს დეპუტატებმა, საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელთა მოგალეობის შემსრულებლებმა და გადაადგილებულ მოვალეობის შესრულებისაგან აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა და სამმართველოების ხელმძღვანელებმა, რაც შემდგომ უნდა დამტკიცდეს მორიგ სესიაზე.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აღმასრულებელ კომიტეტის განყოფილებათა და სამმართველოთა ხელმძღვანელ მუშაკებს, საქალაქო, რაიონული დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს (თანამდებობათა იმ სიის შესაბამისად, რომელსაც საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ამტკიცებს სახელმწიფო მართვის ზემდგომ ორგანოსთან შეთანხმებით).

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია განსახილველად მიიღოს საკითხები, რომლებიც მისი განყოფილებისა და სამმართველოების გამგებლობაშია.

მუხლი 63. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (საოლქო და რაიონული დაქვემდებარების ქალაქის) და ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებები და განკარგულებები შეუძლიათ გაიუქმონ შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონულმა საბჭომ და ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა.

რესპუბლიკური დაქვემდებარების (საქართველოს სსრ, ასსრ) ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებები და განკარგულებები შეუძლიათ გაუქმონ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭომ და შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, აფხაზეთის და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა.

მუხლი 64. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი წელიწადში ერთხელ მაინც ანგარიშს აბარებს თავისი მუშაობის შესახებ მის ამრჩევ საბჭოს, აგრეთვე მშრომელთა კრებებს საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში და მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილებზე.

მუხლი 65. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს უფლებამოსილების ვადის შემდეგ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ინარჩუნებს თავის უფლებამოსილებას ახლად არჩეული მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს მიერ ახალი აღმასრულებელი კომიტეტის შექმნამდე.

მუხლი 66. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები და სამმართველოები იქმნება საქართველოს სსრ კანონმდებლობის, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ კანონმდებლობის შესაბამისად და ისინი ემყოფებიან ბიუჯეტზე ან სამეურნეო ანგარიშზე.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, მის განყოფილებათა და სამმართველოთა სტრუქტურასა და შტატებს განსაზღვრავენ საქართველოს სსრ-ში მიღებული ნორმატივებისა და ამ აღმასკომისათვის დადგენილი ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რიცხვის შესაბამისად. შტატებს განსაზღვრავენ დადგენილი წესით, ხელფასის ფონდის ფარგლებში.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებათა და სამმართველოთა კომპეტენციას განსაზღვრავენ დებულებები, რომლებსაც ამტკიცებენ საქართველოს სსრ, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, შესაბამისად.

მუხლი 67. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები და სამმართველოები თავიანთ საქმიანობაში ექვემდებარებიან როგორც საქალაქო, ქალაქის რაიონულ საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე სახელმწიფო მართვის შესაბამის ზემდგომ დარგობრივ ორგანოს.

მუხლი 68. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელები განყოფილებებისა და სამმართველობის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ ბრძანებებს საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და ამ გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების შესასრულებლად, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების და სახელმწიფო მართვის ზემდგომი ორგანოების აქტების საფუძველზე.

მუხლი 69. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები და სამმართველოები თავიანთი მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებენ საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე მშრომელთა კრებებს საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილებზე.

მუხლი 70. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ახორციელებს ხელმძღვანელობასა და კონტროლს აღმასრულებელ კომიტეტთან საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს მიერ შექმნილი ადმინისტრაციული, სამეთვალყურეო, აგრეთვე არასტრუქტურულ ნაწილებთან საქმეების კომისიების საქმიანობაზე. აღნიშნული კომისიების კომპეტენციას განსაზღვრავენ დებულებები, რომლებსაც ამტკიცებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აფხაზეთის და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო აღმასრულებელ კომიტეტთან ქმნის აგრეთვე სხვა კომისიებს, რომელთა საჭიროებას ადგენს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობა, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ კანონმდებლობა.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს თავისი საქმიანობის საკითხებზე შეუძლია შექმნას სხვა კომისიებიც, რომელთა ამოცანები განისაზღვრება მათი შექმნისთანავე.

მუხლი 71. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელებას.

მუხლი 72. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებებს და იძლევა განკარგულებებს მისთვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 73. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იღებს ზომებს მოსახლეობის ფართო მასების მისაზიდად სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მონაწილეობისათვის როგორც უშუალოდ, ისე ქუჩის, კვარტალის, სახენაო კომიტეტების, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების, ამხანაგური სასამართლოების, ქალთა საბჭოების, მშობელთა კომიტეტებისა და სხვა საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, ყოველმხრივ დახმარებას უწევს მათ მუშაობაში.

მუხლი 74. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს და ორგანიზაციას უწევს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობას, საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულებას, იძლევა განკარგულებებს.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე არის საქალაქო, რაიონული ბიუჯეტის კრედიტების განმკარგულებელი და საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომის მიმდინარე ანგარიშის განმკარგულებელი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში.

მუხლი 75. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები განაგებენ, თანახმად მოვალეობის განაწილებისა, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის დარგებს, აღმასკომის შესაბამისი განყოფილებებისა და სამმართველოების საქმიანობას, ორგანიზაციას უწევენ საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებების შესრულებას ამ დარგებში.

მუხლი 76. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მდივანი ორგანიზაციას უწევს მასალების მომზადებას საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად, უზრუნველყოფს საბჭოსა და აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა თავის დროზე დაყვანას დაინტერესებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციებამდე, პასუხისმგებელია საქმის წარმოების, აღრიცხვისა და ანგარიშგებისათვის.

მდივნის არყოფნის დროს (ავადმყოფობა, შვებულება და სხვ.) მის მოვალეობას აკისრებენ აღმასრულებელი კომიტეტის ერთ-ერთ წევრს.

3. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს მუდმივი კომისიები

მუხლი 77. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო იმისათვის, რომ შეისწავლოს, წინასწარ განიხილოს და მოამზადოს საკითხები, რომლებიც საბჭოს გამგებლობას მიეკუთვნება, და აქტიურად შეუწყოს ხელი მისი გადაწყვეტილებების განხორციელებას, ქმნის მუდმივ კომისიებს თავისი უფლებამოსილების ვადით.

მუდმივი კომისიები მოწოდებული არიან თავიანთი საქმიანობით ხელი შეუწყონ საბჭოს შეუფერხებელ და ეფექტიან მუშაობას.

მუხლი 78. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს მუდმივი კომისიების ძირითადი ამოცანებია:

წინადადებების შემუშავება საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად;

დასკვნების მომზადება საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შეტანილ საკითხებზე;

მონაწილეობა ორგანიზატორულ მუშაობაში საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებისა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებების პრაქტიკულად განხორციელებისათვის;

კონტროლის გაწევა იმაზე, თუ როგორ ახორციელებენ საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტისა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებებს, აგრეთვე, როგორ იცავენ სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობას, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ასსრ კანონმდებლობას საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები და სამმართველოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები.

მუხლი 79. მუდმივ კომისიებს ირჩევს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო შესაბამისი საბჭოს დეპუტატთაგან თავმჯდომარისა და კომისიის წევრების შემადგენლობით. თითოეული კომისიის რიცხობრივ შემადგენლობას, განსაზღვრავს საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო. მუდმივი კომისიების შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იქნენ დეპუტატები, რომლებიც შედიან საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში, აგრეთვე დეპუტატები — სახალხო მოსამართლენი და ქალაქის, რაიონის პროკურორი.

ყოველი მუდმივი კომისია თავის წევრთაგან ირჩევს კომისიის მდივანს და საჭირო შემთხვევაში — კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს.

მუხლი 80. მუდმივი კომისიები პასუხისმგებელნი და ანგარიშვალდებული არიან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს წინაშე.

მუდმივი კომისიები თავისი საქმიანობის შესახებ პერიოდულად ანგარიშს აბარებენ საბჭოს.

მუხლი 81. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს კომისიისა, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისიას, ახალგაზრდობის საქმეთა კომისიას, აგრეთვე ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის დარგების მუდმივ კომისიებს.

მუხლი 82. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს სამანდატო კომისია

ა) ამოწმებს საბჭოს დეპუტატთა რწმუნებებს და საბჭოს განსახილველად წარადგენს წინადადებებს არჩეული დეპუტატების რწმუნებათა ცნობის შესახებ ან ცალკეული დეპუტატების არჩევნების გაუქმების შესახებ;

ბ) ამზადებს და საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში შეაქვს წინადადებები გასულ დეპუტატთა ნაცვლად საბჭოს დეპუტატთა არჩევნების მოწყობის საკითხებზე;

გ) იძლევა დასკვნებს დეპუტატთა ხელშეუხებლობასთან და გაწვევასთან დაკავშირებულ საკითხებზე, აგრეთვე დეპუტატთა განცხადებებზე დეპუტატის მოვალეობის შესრულებისაგან მათი განთავისუფლების შესახებ.

მუხლი 83. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისია

ა) განიხილავს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საბჭოს დასამტკიცებლად შეტანილ ქალაქის, რაიონის მეურნეობის განვითარებისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ნაკრებ პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს და იძლევა მათზე თავის დასკვნებს;

ბ) განიხილავს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საბჭოს დასამტკიცებლად შეტანილ ქალაქის, რაიონის ბიუჯეტს, ანგარიშს მისი შესრულების შესახებ და იძლევა მათზე თავის დასკვნას;

გ) განიხილავს და თანხმობს საბჭოს სხვა მუდმივ კომისიათაგან შემოსულ შენიშვნებსა და წინადადებებს ქალაქის, რაიონის მეურნეობის განვითარებისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების გამო, ქალაქის, რაიონის ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის შესახებ;

დ) ეწევა მუშაობას შიდასამეურნეო რეზერვებისა და ბიუჯეტის დამატებითი შემოსავლის გამოვლენისა და სახელმწიფო სახსრების ხარჯვისას ეკონომიის რეჟიმის გაძლიერებისათვის;

ე) ახორციელებს კონტროლს ქალაქის, რაიონის მეურნეობის განვითარებისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმებისა და ქალაქის, რაიონის ბიუჯეტის შესრულებაზე;

ვ) მონაწილეობას იღებს საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შეტანილი სხვა საგეგმო და საბიუჯეტო-საფინანსო საკითხების მომზადებაში.

მუხლი 84. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისია

ა) მონაწილეობას იღებს სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე;

ბ) იძლევა დასკვნებს საქალაქო საბჭოს იმ გადაწყვეტილებათა პროექტებზე, რომლებიც ითვალისწინებენ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას მათი დარღვევისათვის;

გ) მონაწილეობას იღებს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებსა და სამმართველოებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სოციალისტური კანონიერების დაცვის შემოწმებაში, მოქალაქეთა წინადადების, განცხადებების, საჩივრების განხილვის და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის საქმეთა მდგომარეობის შემოწმებაში;

დ) დახმარებას უწევს მუშაობაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითს სახალხო რაზმებს და ამხანაგურ სასამართლოებს. მონაწილეობს მოსახლეობაში სამართლებრივი პროპაგანდის ორგანიზაციაში.

მუხლი 85. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა კომისია:

ა) ამზადებს და საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შეაქვს გადაწყვეტილებათა პროექტები და სხვა წინადადებები ახალგაზრდობის აღზრდის, განათლების, პროფესიული სწავლების, შრომის, ყოფა-ცხოვრების, დასვენებისა და ჯანმრთელობის დაცვის, სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში მისი მონაწილეობის საკითხებზე

ბ) წინასწარ განიხილავს მასთან დასაკავშირებელ საკითხებს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა პროექტებს. კომისიის გამგებლობაში მყოფ საკითხებზე და ამზადებს შესაბამის დასკვნებს;

გ) მონაწილეობას იღებს კომისიის გამგებლობაში მყოფ საკითხებზე ქალაქის, რაიონის მეურნეობის განვითარებისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმებსა, ქალაქის, რაიონის ბიუჯეტსა და მისი შესრულების ანგარიშში წინასწარ განხილვაში.

მუხლი 86. სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის დარგების მიხედვით შექმნილი მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს მუდმივი კომისიები.

ა) მონაწილეობას იღებენ საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შეტანილი სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის შესაბამისი დარგების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების მომზადებაში;

ბ) წინასწარ განიხილავენ ქალაქის, ქალაქის რაიონული მეურნეობის განვითარებისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების, ქალაქის, რაიონის ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის შესახებ;

გ) ეწევიან მუშაობას ადგილობრივი მრეწველობის, საბინაო, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის განვითარებისათვის, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის დამატებითი რეზერვებისა და შესაძლებლობების გამოვლენის მიზნით, ამზადებენ ამ საკითხებზე წინადადებებს და შეაქვთ ისინი საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად;

დ) ამოწმებენ თავიანთი რწმუნებების ფარგლებში საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების, ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობას, შემოწმების შედეგების მიხედვით წარადგენენ წინადადებებს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა განსახილველად, ხოლო საჭირო შემთხვევებში შეაქვთ წინადადებები საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად.

მუხლი 87. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს მუდმივ კომისიებს მათი გამგებლობისათვის განკუთვნილ საკითხებზე უფლება აქვთ თავიანთ სხდომებზე მოისმინონ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებები და განცხადებები და მისცენ მათ რეკომენდაციები.

მუდმივი კომისიების რეკომენდაციების განხილვა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების, ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა მიერ სავალდებულოა. განხილვის შედეგების ან მიღებული ზომების შესახებ უნდა ეცნობოს მუდმივ კომისიას არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა ან კომისიის მიერ დადგენილ ვადაში.

მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ საჭირო შემთხვევებში საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების, ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა მიერ სავალდებულოა. განხილვის შედეგების ან მიღებული ზომების შესახებ უნდა ეცნობოს მუდმივ კომისიას არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა ან კომისიის მიერ დადგენილ ვადაში.

მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ საჭირო შემთხვევებში საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების, ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა მოსთხოვონ შესაბამისი მასალები და საბუთები.

მუხლი 88. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონულ საბჭოს შეუძლია შექმნას დროებითი კომისიები. დროებითი კომისიების ამოცანებს საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო განსაზღვრავს მათი შექმნისთანავე.

4. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატი

მუხლი 89. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის დღიდან და მთავრდება ახ